585
993 /2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1993

№ 7

საქართველოს პარლამენტის

ინყებები

№ 141
(7-9)

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

უწყებები

№ 7 (624) მაისი 1993 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

101. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

102. საქართველოს პარლამენტის დადგენილება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა არჩევის შესახებ.

103. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სამხედრო საკითხების მარეგულირებელი ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

104. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

105. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში ქვეკომისიების შექმნის შესახებ.

106. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 1993 წლის სათნოების წლად გამოცხადების შესახებ.

107. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გიორგი ყარყარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ.

108. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურებისათვის თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

109. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო სახსრების ხარჯვის შესახებ.

110. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე.

111. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

112. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ვალერიან ადვაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

113. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ნუგზარ კვაჭაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

114. საქართველოს პარლამენტის დადგენილება № 5 საარჩევნო ოლქში პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

115. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალვისა და მათი საფლავების მოწყობის შესახებ.

116. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ზურაბ ავალიშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ.

117. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ.

118. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხედრო პროკურატურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

119. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეებზე მრავალი წლის მანძილზე შემოსული საჩივრების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ.

120. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

121. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ-ეთნიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

122. საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

123. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს მაშველთა კორპუსის შესახებ

განყოფილება მეორე

საქართველოს პარლამენტის დადგენილება პარლამენტისა და მისი აპარატის კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და თანამდებობის პირთა მაღალი სიხშირის ტელეფონებითა და ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობის შესწავლის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა მიმდინარეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის ბრძანება საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის ბრძანება საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის დებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა
2031
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

101 საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მოწესრიგების, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე წარმართვისა და მისი შედეგიანობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაწესდეს პარლამენტის სპიკერის, მისი მოადგილეებისა და პარლამენტის კომისიების მიერ მოქალაქეთა მიღების ერთიანი დღე და საათი.

2. პარლამენტში მიღების მსურველი მოქალაქეები აღრიცხოს პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილებამ, იქვე გაესაუბრონ მათ, შეადგინონ სია და აღნიშნონ პარლამენტის ან რომელი კომისიის ხელმძღვანელთან სურთ შეხვედრა და რა საკითხზე.

განყოფილებამ მიღების მსურველთა სიის შესაბამისად წინასწარ დროულად შეატყობინოს პარლამენტისა და კომისიების ხელმძღვანელებს მისაღებ მოქალაქეთა რაოდენობა და განსახილველი საკითხები.

3. პარლამენტის ხელმძღვანელებთან მოქალაქეთა მიღებას უნდა ესწრებოდეს პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების მუშაკი, რომელიც სპიკერის ან მისი მოადგილეების სათანადო რეზოლუციების შემდეგ შესაბამისი ორგანიზაციის სახელზე ამზადებს წერილებს, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის აპარატის უფროსი.

4. პარლამენტის აპარატის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილებამ:

ა) აღრიცხოს მოქალაქეთა მიღების დროს წამოჭრილ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი;

ბ) თუ დასმული საკითხების გადაწყვეტა არ შედის პარლამენტისა და მისი კომისიების კომპეტენციაში, დანიშნულებისამებრ გაგ-

ზავნოს მოქალაქენი და დაეხმაროს მათ დაყენებული საკითხების მოგვარებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ყოველკვარტალურად და წლიურად გააანალიზოს პარლამენტში მოქალაქეთა მიღების მდგომარეობა და შედეგები მოახსენოს პარლამენტის ხელმძღვანელობას;

დ) პერიოდულად შეისწავლოს და გააანალიზოს ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობებში პარლამენტის წევრთა მიერ მოქალაქეთა მიღების პრაქტიკა, სათანადო კონსულტაცია გაუწიოს წარმომადგენლობათა მუშაკებს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

102 შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეის შემადგენლობაში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებად: პარლამენტის სპიკერი ვახტანგ **გოგუაძე**, პარლამენტის წევრები: ზურაბ **ანდრიაძე**, მალხაზ **ბარამიძე**, გიორგი **გაჩეჩილაძე**, გივი **ლომინაძე**.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

103 სამხედრო საკითხების მარეგულირებელი ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში გაწვევის წესის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, № 1, მუხლი 23).

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 29 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, № 1, მუხლი 25).

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 18 აპრილის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, № 4, მუხლი 307).

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 23 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წელი, № 4, მუხლი 312).

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მაისი.

104 „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

„სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 29 აპრილის კანონის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1992 წელი, № 2, მუხლი 136) მე-5 მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმცროს ოფიცერთა შემადგენლობად:

სახმელეთო ძალებში — უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტან-ლეიტენანტი.

ბ) უფროს ოფიცერთა შემადგენლობად:

სახმელეთო ძალებში — მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — III რანგის კაპიტანი, II რანგის კაპიტანი, I რანგის კაპიტანი.

გ) უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობად:

სახმელეთო ძალებში — გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, არმიის გენერალი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — ვიცე-ადმირალი, ადმირალი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**
საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 4 მაისი.

105 საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის შემადგენლობაში ქვეკომისიების შექმნის შესახებ

„საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის წინადადება და მის შემადგენლობაში შეიქმნას შემდეგი ქვეკომისიები:

სახელმწიფო აღმშენებლობის

თავმჯდომარე: — ბადრი **ნაკაშიძე**.
წევრები: გურამ **მუჩაიძე**,
ოთარ **მელქაძე**.

სასამართლო რეფორმის

თავმჯდომარე — ალექსი **კობაიძე**.
წევრები: ტარიელ **ციხელაშვილი**,
რევაზ **ადამია**,
ლია **ცინდელიანი**.

საერთაშორისო სამართლის

თავმჯდომარე — თენგიზ **დიხამინჯია**.
წევრები: გელა **ნიკოლაიშვილი**
მერაბ **ქაჯაია**.

ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის

თავმჯდომარე — დავით **მელიქიშვილი**.
წევრები: გიორგი **ჭინჭარაული**,
გაიოზ **როგავა**.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ბოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 1993 წლის სათნოების წლად გამოცხადების შესახებ

ითვალისწინებს რა ჰუმანისტური მსოფლმხედველობისა და ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მოსახლეობის სოციალურად ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების საყოფაცხოვრებო პირობების რეალური გაუმჯობესების საჭიროებას, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკაში 1993 წელი გამოცხადდეს სათნოების წლად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

107 გიორგი ყარყარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დამტკიცების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს გიორგი **ყარყარაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

108 **საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურებისათვის თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნასა და ჩამოყალიბებაში დიდი დამსახურებისათვის თენგიზ **კიტოვანსა** და ჯაბა **იოსელიანს** გამოეცხადოთ მადლობა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

109 **საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო სახსრების ხარჯვის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის კ. პოპიაშვილის ინფორმაცია 1992 წელს და 1993 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო სავალუტო სახსრების ხარჯვის შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ერთი თვის ვადაში შეისწავლოს მინის ტარის ქარხნის ტექნოლოგიური ხაზის შეძენაზე სავალუტო სახსრების ხარჯვის მიზანშეწონილობის საკითხი და ამის თაობაზე მოახსენოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მაისი.

110 „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“ ვენის კონვენციასთან შეერთების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს ვენის 1961 წლის კონვენციას „დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ“.

2. ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 13 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

111 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა ორგანიზაციების მიერ მიმოქცევაში კუპონების გამოყენების წესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს**:

1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ, № 12, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის 153[1] მუხლი:

„მუხლი 153[1]. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში კუპონების გამოყენების წესების დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში კუპონების გამოყენების წესების დარღვევა —

გამოიწვევს დაჯარიმებას მინიმალური ხელფასის ნახევრიდან ხუთ მინიმალურ ხელფასამდე“.

2. დაწესდეს, რომ 153[1] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ სასამართლოები.

3. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 13 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

112 ვალერიან ადვაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს ვალერიან **ადვაძეს** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

113 ნუგზარ კვაჭაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს ნუგზარ **კვაჭაძეს** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პირადი განცხადების საფუძველზე სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

114 № 5 საარჩევნო ოლქში პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს № 5 საარჩევნო ოლქში პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ვალერიან ადვაძის ადგილმონაცვლის თეიმურაზ **კოპალეიშვილის** უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

115 საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სახელმწიფო ხარჯებით დაკრძალვისა და მათი საფლავების მოწყობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა, მოხალისეთა, შინაგან საქმეთა ორგანოების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკთა და მოქალაქეთა დაკრძალვა და მათი საფლავების მოწყობა მოხდეს სახელმწიფო ხარჯებით.

2. დაევალოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განახორციელოს ამ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებანი.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

116 ზურაბ ავალიშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეიქმნას ზურაბ ავალიშვილის ნეშტის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — ედუარდ **შევარდნაძე.**

თავმჯდომარის მოადგილე — თენგიზ **სიგუა.**

წევრები:

აკაკი **ბაქრაძე**

კონსტანტინე **გაბაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ **გამყრელიძე**
ვახტანგ **გოგუაძე**
ალბერტ **თავხელიძე**
კონსტანტინე **კემულარია**
გიორგი **მელიქიშვილი**
როინ **მეტრეველი**
მიხეილ **ნანეიშვილი**
თევდორე **ნინიძე**
მინდია **უგრეხელიძე**
ნიკოლოზ **ჭავჭავაძე**
ალექსანდრე **ჯავახიშვილი.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

117 „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო კონვენციას „გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ ზომების წინასწარ მიღებისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ“.

ამის შესახებ ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118 „სამხედრო პროკურატურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

20317

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„სამხედრო პროკურატურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 28 დეკემბრის კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს კანონით დადგენილი წესით ენიჭებათ სპეციალური წოდებები, რომლებიც სამხედრო წოდებებთან არის გათანაბრებული.

მუხლი 26. სამხედრო პროკურატურის თანამდებობის პირებს ხელფასი უწესდებათ დაკავებული თანამდებობის, წელთა ნამსახურობისა და წოდების გათვალისწინებით“.

2. ამოღებულ იქნეს კანონის 28-ე მუხლი.

3. ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**
საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

119 სისხლის სამართლის საქმეებზე მრავალი წლის მანძილზე შემოსული საჩივრების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებას მიმართავდა მოქალაქეთა ჯგუფი სისხლის სამართლის, ძირითადად მკვლელობის, საქმეებზე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიე-

საქართველოს ეროვნული

რების შეუწყვეტის თაობაზე, ხოლო წინა ხელისუფლების მიერ შექმნილმა შესაბამისმა კომისიამ ვერ დაასრულა მუშაობა, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. საქართველოს პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიასთან შეიქმნას პარლამენტის დროებითი კომისია და დაევალოს:

ა) შეისწავლოს სისხლის სამართლის საქმეებზე მრავალი წლის მანძილზე მომჩივანთა მიერ დასმული საკითხები და მოამზადოს მათ გამო დასკვნები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის პროკურატურის წინაშე აღძრას შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების განახლების საკითხი.

2. ყველა სახელმწიფო ორგანომ და დაწესებულებამ ხელი შეუწყონ დროებითი საპარლამენტო კომისიის საქმიანობას.

3. საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაში მომჩივანის მოთხოვნათა დაუკმაყოფილების შემთხვევაში საჩივარი სხვა ინსტანციაში არ განიხილება, თუ არ აღმოჩნდა ახალი გარემოება.

4. კომისიამ გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენოს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

120 „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 20 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

121 საქართველოს პარლამენტის ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

პარლამენტის წევრი თეიმურაზ **კოპალეიშვილი** არჩეულ იქნეს ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 20 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

122 პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს პარტიული სიით არჩეული გამოკლებული პარლამენტის წევრის ნუგზარ **კვაჭაძის** ადგილმონაცვლის თამაზ **ობგაძის** უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 25 მაისი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

123 საქართველოს მაშველთა კორპუსის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ **შევარდნაძის** განკარგულება საქართველოს მაშველთა კორპუსთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

პარლამენტისა და მისი აპარატის კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველყოფის ღონისძიებებისა და თანამდებობის პირთა მაღალი სიხშირის ტელეფონებითა და ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობის შესწავლის შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ პარლამენტის კომისიები, ფრაქციები და პარლამენტის აპარატის განყოფილებები ნაწილობრივ განლაგდნენ პარლამენტის შენობაში (ყოფილი უზენაესი საბჭოს შენობა),

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და კავშირგაბმულობის სამინისტროს კავშირგაბმულობის არსებულ საშუალებათა გადანაწილებით უზრუნველყონ პარლამენტის კომისიათა თავმჯდომარეების მოადგილეები, ქვეკომისიათა თავმჯდომარეები, მდივნები, ფრაქციათა თავმჯდომარეები, აპარატის განყოფილებათა გამგეები, ხოლო ახალი, 2.000-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურის დამთავრების შემდეგ, პარლამენტის ყველა წევრი მთავრობისა და საქალაქთაშორისო ტელეფონებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და კავშირგაბმულობის სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს მიმდინარე წლის 20 მაისისათვის მოახსენონ ამ დადგენილების შესასრულებლად განხორციელებულ ღონისძიებათა თაობაზე.

3. დაევალოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიას შეისწავლოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობით ორგანოთა თანამდებობის პირების მაღალი სიხშირის ტელეფონებითა და ტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობა და ორი კვირის ვადაში მოახსენოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი პაატანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა მიმდინარეობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 1 თებერვლის № 43 დადგენილების შესაბამისად საქართველოს პარლამენტის (ყოფილი უზენაესი საბჭოს) შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოები უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის სექტემბერში.

პარლამენტის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია, ძირითადად, დამუშავებულია საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში", რომელსაც დაკისრებული აქვს გენერალური დამპროექტებლის ფუნქცია. სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს გენერალური მშენებელი — არქიტექტურისა და მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტი.

აღდგენა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია შეთანხმებულია დამკვეთთან — საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საშეურნეო სამმართველოსთან და საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობასთან. პროექტი დამუშავებულია პარლამენტის აპარატის მუშაკთა მონაწილეობით. მასში უპირველესი ყურადღება დაეთმო პარლამენტის სტრუქტურას, მისი მუშაობის სპეციფიკას, ითვალისწინებს საპარლამენტო საქმიანობისათვის საჭირო მინიმალურ პირობებს და იმ უახლეს ტექნიკას, რაც საჭიროა პარლამენტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

ბოლო დროს შენობის აღდგენითი სამუშაოების ტემპის დაჩქარებასთან ერთად შეიმჩნევა მათი ხარისხის გაუარესების ტენდენცია, რაც ყოვლად დაუშვებელია.

პარლამენტის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა მოწესრიგების მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას სპეციალური საპარლამენტო კომისია პარლამენტის კომისიათა და ფრაქციათა თავმჯდომარეების ნ. ლეკიშვილის, ე.ადამიას, თ. ბასილიას, ვ. ხმალაძის, ქ. ღარიბაშვილის, პარლამენტის წევრების ი. ანდრიაძის, ი. ხარატიშვილის, პარლამენტის

აპარატის უფროსის ჰ. ჭიპაშვილის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის სამეურნეო სამმართველოს უფროსის დ. ბერძენიშვილის, ამავე სამმართველოს განყოფილების გამგის ა. რაზმაძის, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილის ნ. ამაშუკელის, მე-13 სამშენებლო ტრესტის მმართველის კ. მხეიძის, ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტის" დირექტორის გ. ანდრონიკაშვილის, მთავარი არქიტექტორის ვ. ცუხიშვილის შემადგენლობით.

კომისიის ხელმძღვანელობა დაევალოს საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილეს რ. ბერიძეს.

კომისიამ სისტემატური კონტროლი დააწესოს შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, არ დაუშვას პროექტით გათვალისწინებულ, შეთანხმებულ სამუშაოთა და საპროექტო გადაწყვეტათა შეუსრულებლობა, ხარისხის გაუარესება.

დაუშვებელია აღნიშნულ კომისიასთან შეუთანხმებლად პარლამენტის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა ციკლის ნებისმიერი შეცვლა.

2. დაევალოს პარლამენტის შენობის აღდგენით-სარეკონსტრუქციო სამუშაოთა დამკვეთს — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის სამეურნეო სამმართველოს — განაგრძოს დაწყებული სამუშაოები მათ სრულ დამთავრებამდე, უზრუნველყოს ისინი სამშენებლო, საწვავ-საცხები და სხვა მასალებით, აგრეთვე შენობა — სათანადო ავეჯითა და ტექნიკურ-ტექნოლოგიური მოწყობილობით.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები სათანადო რაოდენობის სავალუტო სახსრების გამოყოფის შესახებ პარლამენტის სხდომათა დარბაზის ელექტრონული სისტემებით და შენობის თანამედროვე საინჟინრო კომუნიკაციებით აღჭურვისათვის.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 მაისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 მაისი.

საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის მუდმივი იურიდიული კომისია (შემდგომში „კომისია") არის პარლამენტის მუდმივი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკონტროლო და კანონშემოქმედებით საქმიანობას და აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

კომისია ხელმძღვანელობს მიმდინარე და პერსპექტიული გეგმებით, ასრულებს პარლამენტის დავალებებს, ამუშავებს კანონპროექტებს და ითვალისწინებს საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემოსულ წინადადებებს.

I. კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. იურიდიული კომისია თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე:

პარლამენტის განსახილველად ამზადებს იმ კანონპროექტებს, რომლებიც არეგულირებს მოქალაქეობის, პარლამენტის არჩევნე-

ბის, მისი კონსტიტუირების და საქმიანობის, რეფერენდუმის ჩატარების, საპარლამენტო ფრაქციების, პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა სამართლებრივ პრობლემებს;

ამზადებს და იხილავს კონსტიტუციური მნიშვნელობის და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხებს;

აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტების შესაბამისობას სახელმწიფოს ძირითად კანონთან;

თვალყურს ადევნებს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა მიერ მიღებული კანონების შესაბამისობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან;

შეიმუშავებს და პარლამენტის განსახილველად ამზადებს სასამართლო რეფორმის, სისხლის და სამოქალაქო სამართლის, სისხლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, ადმინისტრაციული სამართლის, სამეურნეო სამართლის კანონპროექტებს;

პარლამენტში წარადგენს წინადადებებს საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებთან, მრავალმხრივ საერთაშორისო კონვენციებთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ, უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმათა შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ტრანსფორმაციას;

კოორდინაციას უწევს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და სხვა უწყებათა კანონშემოქმედებით საქმიანობას, აკონტროლებს მათ მიერ კანონმდებლობის შესრულებას, შეისწავლის სამართლის ნორმათა გამოყენების ეფექტიანობას, ისმენს შესაბამის ხელმძღვანელთა ანგარიშებს ამ საკითხებზე, ამზადებს პარლამენტში წარსადგენ წინადადებებს და იძლევა სათანადო რეკომენდაციებს;

ამყარებს კონტაქტებს და თანამშრომლობს უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა შესაბამის სტრუქტურებთან, საერთაშორისო სამართლებრივ ორგანიზაციებთან.

II. კომისიის მუშაობის ორგანიზაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კომისიის მუშაობას ორგანიზაციას უწევს კომისიის თავმჯდომარე „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

3. კომისიის მორიგი სხდომები ტარდება ყოველ ოთხშაბათს 14 საათზე.

4. კომისია საერთო გამგებლობის საკითხებს იხილავს პარლამენტის სხვა მუდმივ კომისიებთან გაერთიანებულ სხდომებზე.

5. სამუშაო ორგანოს სახით იურიდიულ კომისიაში ფუნქციონირებს შემდეგი ქვეკომისიები:

სახელმწიფო აღმშენებლობის

სასამართლო რეფორმის

საერთაშორისო სამართლის

ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფის.

ქვეკომისიის სხდომას საჭიროებისამებრ იწვევს მისი თავმჯდომარე.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 13 მაისი.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. კომისიის მიზნები

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მუდმივი კომისიის მიზანია იმ გარემოდაცვითი და სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი გარემოს შენარჩუნებას და დაცვას, მისი ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს, საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შეთანხმებას, ბუნებრივი რესურსების გონივრულ და რაციონალურ გამოყენებას ბუნების კანონებისა და გარემოს პოტენციური შესაძლებლობების, ბუნებრივი რესურსების აღწარმოების პრინციპების, დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

კომისია მოქმედებს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის, „საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის“, „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. კომისიის უფლებამოსილებანი

კომისიას აქვს კონტროლის, კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 3. კომისიის ძირითადი ამოცანები

კომისიის ძირითადი ამოცანებია:

— საქართველოს რესპუბლიკაში გარემოდაცვითი საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების, აგრეთვე, სოციალურ-ეკონომიკური, საბიუჯეტო-საფინანსო, აგრარული, სამრეწველო, თავდაცვის, უშიშროების და სხვა კანონების გარემოდაცვითი

საკითხების მომზადება საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად და დასამტკიცებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გარემოდაცვითი კანონების შესრულებაზე კონტროლი;

— არსებული გარემოდაცვითი პრობლემების გადასაჭრელად, დასახულ ღონისძიებათა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტისათვის დასკვნების, ცნობების, წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა, სიტყვიერი განმარტების მიცემა;

— მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, მიმდინარე სამუშაოების კოორდინაცია და საქართველოს პარლამენტის რეგულარული ინფორმირება მათი მსვლელობის შესახებ;

— დაქვემდებარებული ქვეკომისიების სამუშაო გეგმებისა და პროგრამების განხილვა და დამტკიცება, მათი შესრულების შესახებ ანგარიშგების მოსმენა, ქვეკომისიების მიერ მომზადებული საკითხების საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა;

— გარემოდაცვითი პრობლემებით დაინტერესებულ საერთაშორისო, სამთავრობო; საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციებთან, საქმიან წრეებთან, გამოჩენილ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, კულტურის მუშაკებთან კონტაქტების დამყარება;

— პრესის, რადიომაუწყებლობის და ტელევიზიის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება საქართველოში არსებული მდგომარეობის, სამომავლო გეგმების, რეალურად გადადგმული ნაბიჯებისა და მიმდინარე პროცესების განვითარების პროგნოზების შესახებ.

მუხლი.4. კომისიის შემადგენლობა

კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წევრები.

კომისიის მუშაობის უკეთ წარმართვისათვის კომისია ქმნის ექსპერტთა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს, რომელშიც იწვევს შესაბამისი დარგების სპეციალისტებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

კომისია ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს და ქვეკომისიის თავმჯდომარეებს.

კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე ან, მისი არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიაში, მისი ძირითადი საქმიანობის მიმართულებების მიხედვით, შექმნილია ოთხი ქვეკომისია:

გარემოს დაცვის

ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიებისა და ტყის

ბუნებრივი რესურსების

შავი ზღვის.

საჭიროების შემთხვევაში კომისიას შეუძლია დროებით, კონტრაქტების საფუძველზე, მოიწვიოს ექსპერტები ცალკეულ საკითხებზე დასკვნების ან კონსულტაციების მისაღებად.

კომისიის საქმიანობის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის აპარატი.

მუხლი 5. ქვეკომისიების ძირითადი ამოცანები

ცალკეული ქვეკომისიების ამოცანები გამომდინარეობს მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებიდან და მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

გარემოს დაცვის ქვეკომისია:

— გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მცენარეთა საფარი, ცხოველთა სამყარო) დაცვის საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

—გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, მცენარეთა საფარი, ცხოველთა სამყარო) დაცვის საკითხებთან დაკავშირებული დასკვნების, ცნობების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა, სიტყვიერი განმარტებების მიცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიებისა და ტყის ქვეკომისია:

— საქართველოს ეროვნული პარკების კონცეფციის შემუშავება; მის საფუძველზე შექმნილი საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— საქართველოს ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობებისა და სხვა ტიპის დაცული ტერიტორიების დაცვის, სამუშაო რეჟიმებისა და ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— საქართველოს სატყეო კანონმდებლობის აქტების პროექტების მომზადება;

— ეროვნული პარკების, დაცული ტერიტორიებისა და სატყეო საკითხებთან დაკავშირებული დასკვნების, ცნობების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა, სიტყვიერი განმარტების მიცემა.

ბუნებრივი რესურსების ქვეკომისია:

— საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მოპოვების, ლიცენზირების, სერტიფიცირების, გამოყენების საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— წყლის რესურსების ლიცენზირების, სერტიფიცირებისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— ენერგორესურსების შესახებ საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— ბუნებრივი რესურსების (წიაღისეულის, წყლის, ენერგორესურსების) ლიცენზირების, სერტიფიცირების და გამოყენების სა-

კითხებთან დაკავშირებული დასკვნების, ცნობების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა, სიტყვიერი განმარტებების მიცემა.

შავი ზღვის ქვეკომისია:

— შავი ზღვის პრობლემებთან დაკავშირებული გარემოდაცვითი საკანონმდებლო აქტების, რეზოლუციების, ხელშეკრულებების, დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

— შავი ზღვის პრობლემებთან დაკავშირებული დასკვნების, ცნობების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა, სიტყვიერი განმარტებების მიცემა.

მუხლი 6. კომისიაში საკანონმდებლო და სხვა საკითხების განხილვის წესი

კომისია გადაწყვეტილებებს იღებს თავის სხდომებზე, რომლებიც ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთისა კვირაში და რომელიც უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

კომისიის გადაწყვეტილებით მისი სხდომა შეიძლება იყოს ღია ან დახურული. ღია სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ მოწვეულ პირებს.

თუ სხდომაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება რამდენიმე საპარლამენტო კომისიის კომპეტენციას, ტარდება შესაბამისი კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს წარადგენს კომისიის თავმჯდომარე. კომისია უფლებამოსილია შეიტანოს მასში ცვლილებები და დამატებები.

კომისიის სხდომის დროს უნდა შედგეს ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი. ოქმის წარმოება ევალება კომისიის საქმის მწარმოებელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი 7. კომისიის გადაწყვეტილებათა მიღებისა და პარლამენტისათვის წარდგენის წესი

კომისიის გადაწყვეტილებათა მიღება ხდება კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კენჭისყრაში მონაწილეთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მიღებულად ჩაითვლება ის წინადადება, რომელსაც მხარს დაუჭერს კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს შეთანხმების წესითაც, თუ შეთავაზებულ წინადადებას წერილობით შეთანხმებით მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

კომისიის წევრები სარგებლობენ თანაბარი ხმის უფლებით.

კომისიის მიერ მომზადებული პროექტები და მოხსენებები განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს. პარლამენტისათვის სიტყვიერი განმარტების მისაცემად ან მოხსენების გასაკეთებლად კომისია გამოყოფს მომხსენებელს.

მუხლი 8. კომისიის წევრის განსაკუთრებული აზრი

თუ კომისიის წევრს აქვს განსაკუთრებული აზრი, რომელსაც მოახსენებს კომისიას, კომისია მოვალეა ძირითად მოხსენებასთან ერთად გააცნოს იგი პარლამენტს.

მუხლი 9. კომისიის თავმჯდომარე

კომისიის თავმჯდომარე ამზადებს და იწვევს კომისიის სხდომებს, ასრულებს კომისიის გადაწყვეტილებებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით მოიწვიოს კომისიის რიგგარეშე სხდომა.

თავმჯდომარე პარლამენტს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს კომისიის მუშაობის შესახებ.

თავმჯდომარე უფლებამოსილია შეწყვიტოს სხდომა, თუ დაცული არ იქნება მისი მსვლელობის სათანადო წესი.

მუხლი 10. კომისიის საკონტროლო ფუნქციები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიას და ქვეკომისიებს უფლება აქვთ მოითხოვონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, რესპუბლიკის სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოთა ხელმძღვანელების დასწრება სხდომებზე, მათგან საჭირო მასალების, დოკუმენტების და განმარტებების მიღება.

ყველა სახელმწიფო ორგანო ვალდებულია კომისიას წარუდგინოს საჭირო ინფორმაცია.

კომისია თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კონტროლს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი. კომისიის მოთხოვნით სამინისტრო ან სხვა სახელმწიფო უწყება ვალდებულია წარუდგინოს მას ინფორმაცია თავისი საქმიანობის იმ მიმართულებათა შესახებ, რომლებიც კომისიის კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.